საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი N 1/144 "18" ივნისი 2009 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ჩხოროწყუს რაიონული სასამართლოს მოსამართლე
რ. ნადარაიას ფოთის საქალაქო სასამართლოში მივლინების შესახებ

„საერთო სასამართლოებში საქმეთა განაწილებისა და უფლებამოსილების სხვა მოსამართლისათვის დაკისრების წესის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, 2009 წლის 29 ივნისიდან:

1. ჩხოროწყუს რაიონული სასამართლოს მოსამართლე რევაზ ნადარაია მივლინებულ იქნას ფოთის საქალაქო სასამართლოში მოსამართლის უფლებამოსილების განსახორციელებლად.

2. რევაზ ნადარაიამ, საჭიროების შემთხვევაში, იმავდროულად სამოსამართლო უფლებამოსილება განახორციელოს ჩხოროწყუს რაიონულ სასამართლოში.

ვალერი ცერცვაძე
საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი N 1/48 "5" მარტი 2010 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

რ. ნადარაიასთვის ჩხოროწყუს რაიონული სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილების დაკისრების შესახებ

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 32-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, რევაზ ნადარაიას დაეკისროს ჩხოროწყუს რაიონული სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილების განხორციელება.

კონსტანტინე კუბლაშვილი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/169 "15" ოქტომბერი 2010 წ.

ბ ა ნ ა ო ბ ა

რ. ნადარაიას ფოთის საქალაქო სასამართლოს მოსამართლედ დანიშვნის შესახებ

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 37-ე მუხლის შესაბამისად, რევაზ ნადარაია გათავისუფლდეს ჩხოროწყუს რაიონული სასამართლოს მოსამართლის თანამდებობიდან და თავისი სამოსამართლო უფლებამოსილების ვადის ფარგლებში დაინიშნოს ფოთის საქალაქო სასამართლოს მოსამართლედ, 2010 წლის 1 ნოემბრიდან.

კონსტანტინე კუბლაშვილი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/228 „12" ნოემბერი 2010 წ.

ბ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

რ. ნადარაიასთვის ფოთის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილების დაკისრების შესახებ

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 32-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, რევაზ ნადარაიას დაეკისროს ფოთის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილების განხორციელება, 2010 წლის 15 ნოემბრიდან

კონსტანტინე კუბლაშვილი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/217

„24" ოქტომბერი 2012 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

რ. ნადარაიას ფოთის საქალაქო სასამართლოს
თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 32-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ფოთის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე რევაზ ნადარაია დაინიშნოს ფოთის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარედ 2012 წლის 25 ოქტომბრიდან.

კონსტანტინე კუბლაშვილი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/299 „19" ნოემბერი 2012 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

რ. ნადარაიასათვის ფოთის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის უფლებამოსილების დაკისრების შესახებ

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 44-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, 2012 წლის 20 ნოემბრიდან:

1. რევაზ ნადარაია გათავისუფლდეს ფოთის ლიკვიდირებული საქალაქო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობიდან.

2. რევაზ ნადარაიას, თავისი სამოსამართლო უფლებამოსილების ვადის ფარგლებში, დაეკისროს ფოთის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის უფლებამოსილების განხორციელება.

კონსტანტინე კუბლაშვილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა საბჭო

ქ. თბილისი № 1/23 12 თებერვალი 2016 წ.

ბ ა ნ ყ ვ ე ტ ი ლ ებ ა

რ. ნადარაიას თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლედ გამწესების შესახებ

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36-ე მუხლის მე-4 და 4[1] პუნქტების შესაბამისად, რევაზ ნადარაია გამწესდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლის თანამდებობაზე 3 წლის ვადით, 2016 წლის 15 თებერვლიდან.

ნინო გვასალია

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე

საქართველოს უზენაესი სასამართლო

ქ. თბილისი № 1/52

15 თებერვალი 2016 წ.

ბ ა ნ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

რ. ნადარაიას ფოთის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის პირველი პუნქტის „ლ" ქვეპუნქტის შესაბამისად რევაზ ნადარაია გათავისუფლდეს ფოთის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობიდან, 2016 წლის 15 თებერვლიდან, სხვა სასამართლოში დანიშვნის გამო.

სიმონ გვენეტაძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/81 „19" აგვისტოს 2016 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლე რ. ნადარაიას საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის მოსამართლედ გამწესების შესახებ

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 30-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლე რევაზ ნადარაია გამწესდეს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის მოსამართლედ, 2016 წლის 20 თებერვლიდან.

ლევან მურუსიძე
საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/104 „ 4 „ მარტი 2016 წ.

ბ ა ნ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

რ. ნადარაიას თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 30-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, რევაზ ნადარაია დაინიშნოს თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის თავმჯდომარედ, 2016 წლის 5 მარტიდან.

ნინო გვენეტაძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/71 "11" მაისი 2017 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

რ. ნადარაიას თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მოსამართლედ გამწესების შესახებ

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36-ე მუხლის მე-4 და 4[1] პუნქტების შესაბამისად, რევაზ ნადარაია გამწესდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მოსამართლის თანამდებობაზე 3 წლის ვადით, 2017 წლის 25 მაისიდან.

ნინო გვენეტაძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/149 - 22 - მაისი 2017 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

რ. ნადარაიას თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, რევაზ ნადარაია გათავისუფლდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის მოსამართლის თანამდებობიდან 2017 წლის 25 მაისიდან, პირადი განცხადების საფუძველზე.

ნინო გვენეტაძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/104 „ 22 " თებერვალი 2018 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

რ. ნადარაიას თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ გამწესების შესახებ

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 79¹ მუხლის საფუძველზე, რევაზ ნადარაია გამწესდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ, კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე.

ნინო გვენეტაძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/260

„1" ოქტომბერი 2018 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მოსამართლე რ. ნადარაიას სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლედ გამწესების შესახებ

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 23-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, 2018 წლის 8 ოქტომბრიდან თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მოსამართლე რევაზ ნადარაია გამწესდეს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლედ.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი

სტატისტიკური ინფორმაცია თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლის **რევაზ ნადარაიას** საქმიანობის შესახებ

(2017 წლის 1 ნოემბერი - 2020 წლის 1 ნოემბერი)

I განხილულ საქმეთა რაოდენობა

საანგარიშო პერიოდში[1] **რევაზ ნადარაიას** წარმოებაში არსებულ სააპელაციო საჩივრების რაოდენობამ შეადგინა 52. არსებული 52 საქმიდან მოსამართლემ დაასრულა 45, დასრულებულ საქმეთაგან 30 დასრულდა გადაწყვეტილების გამოტანით, 8 - გადაწყვეტილების გამოტანის გარეშე, 5 მორიგების პირობების დამტკიცებით და 2 დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანით; საანგარიშო პერიოდის ბოლოს მოსამართლის ნაშთად დარჩენილ საქმეთა რაოდენობამ შეადგინა 7.

გარდა აღნიშნულისა, საანგარიშო პერიოდში მოსამართლეს წარმოებაში ჰქონდა 35 კერძო საჩივარი, საიდანაც განიხილა 31 და ნაშთად დარჩა 4.

საერთო ჯამში, **რევაზ ნადარაიას** საქმიანობა მოცემულ საანგარიშო პერიოდში უნდა შეფასდეს დადებითად. თუ ავიღებთ ყველა კატეგორიის საქმეს, მოსამართლეს 1002 დღეში დასრულებული აქვს 76 საქმე, ეს არ მიუთითებს მოსამართლის მაღალ დატვირთვაზე, მაგრამ მან განიხილა იმდენი საქმე, რამდენიც დაეწერა.

II საქმის განხილვის საპროცესო ვადების დაცვა - ვადის დაცვით 66,7%, ვადის დარღვევით 33,3%

საანგარიშო პერიოდში მოსამართლე **რევაზ ნადარაიამ** დაასრულა 45 საქმე, საიდანაც 30 საქმე განიხილა საპროცესო ვადის დაცვით, ხოლო 15 ვადის დარღვევით.

III გადაწყვეტილების მომზადების ვადების დაცვა - ვადის დაცვით 88,9%, ვადის დარღვევით 11,1%

---

[1] შესაფასებელი საანგარიშო პერიოდი მოიცავს 1095 დღეს, საიდანაც მოსამართლე სამოსამართლო უფლებამოსილებას ახორციელებდა 1002 დღის განმავლობაში (65 კ/დ შვებულება, 15 კ/დ მივლინება და 13 დღე ბიულეტენი). შესაბამისად, წარმოდგენილი სტატისტიკური ინფორმაცია ასახავს მოსამართლის საქმიანობას 1002 დღის განმავლობაში.

საანგარიშო პერიოდში მოსამართლე **რევაზ ნადარაიამ** გადაწყვეტილება მოამზადა 45 საქმეზე, 40 მათგანზე ვადის დაცვით და 5 მათგანზე ვადის დარღვევით.

IV გასაჩივრებულ გადაწყვეტილებათა სტაბილურობა - უცვლელი 80%, შეცვლილი 20%

საანგარიშო პერიოდში ზემდგომ ინსტანციაში გასაჩივრებულ იქნა მოსამართლე **რევაზ ნადარაიას** მიერ განხილული 13 საქმე, საიდანაც 2 დატოვებული იქნა განუხილველად; 8 ცნობილ იქნა დაუშვებლად; 1 გაუქმდა და დაუბრუნდა სასამართლოს ხელახალი განხილვისთვის, 2 შეწყდა; აგრეთვე 2 კერძო საჩივარი, საიდანაც ორივე დარჩა უცვლელი.

სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტის თავმჯდომარე

ირაკლი გოცირიძე

[1] [1] **შენიშვნა:** გასაჩივრებულ გადაწყვეტილებათა სტაბილურობის მაჩვენებლები შესაძლოა არ დაემთხვეს უშუალოდ შესაფასებელი მოსამართლის „ამოსარჩევ საქმეთა ნუსხაში" მითითებულ მონაცემებს შემდეგ მიზეზთა გამო:

1. შეცვლილი ან გაუქმებული გადაწყვეტილება საანგარიშო პერიოდის მიღმაა;
2. ზედა ინსტანციის ინფორმაცია ქვედა ინსტანციის სასამართლოს კანცელარიას არ აქვს მიღებული;
3. სააპელაციო სასამართლოს მიერ უცვლელად დატოვებული ან შეცვლილი გადაწყვეტილება გასაჩივრდა უზენაეს სასამართლოში.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

სერტიფიკატი

ეს სერტიფიკატი ადასტურებს, რომ

რევაზ ნადარაიამ

წარმატებით ჩააბარა მოსამართლეობის
საკვალიფიკაციო გამოცდა
სისხლის სამართლის სპეციალიზაციაში

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი
ვალერი ცერცვაძე

რეგისტრაციის № 03-19

გამოცდის ჩაბარების თარიღი 27.05.2007

გამოცდის ჩაბარების ადგილი თბილისი

თბილისის საქალაქო სასამართლოს
ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის
მოსამართლე **ინგა კვაჭანტირაძის**

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი რევაზ ნადარაია იყო პირველი იმ სამთაგანი, რომელსაც მოუწია საგალდებულო სტაჟირების გავლა ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში 2008 წლის 6 ოქტომბრიდან ამავე წლის 6 ნოემბრის ჩათვლით. მას გამოცდა სისხლის სამართლის სპეციალიზაციით აქვს ჩაბარებული და არასდროს ჰქონია პრაქტიკა ადმინისტრაციული სამართლის მიმართულებით, თუმცა, მიუხადავად ამისა, კარგად აუღო ალღო ადმინისტრაციულ კანონმდებლობას.

რევაზ ნადარაია გამოირჩევა პასუხისმგებლობის დიდი გრძნობით, მაქსიმალური ყურადღებით და გულისყურით ეკიდება მიცემულ დავალებას. გადაწყვეტილების პროექტის მომზადებისას ცდილობს მიმართულების მიცემის გარეშე მივიდეს საბოლოო გადაწყვეტილებამდე, რასაც საკმაოდ კარგად ართმევს თავს, ლოგიკურად აზროვნებს, უმრავლეს შემთხვევაში სწორ სამართლებრივ შეფასებას აძლევს ფაქტობრივ გარემოებებს, თუმცა არის შეცდომებიც, რაც, ალბათ, გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ მას ადმინისტრაციულ კანონმდებლობასთან არ ჰქონია შეხება. უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად საგადასახადო კანონმდებლობის სირთულისა, გამოიჩინა ინიციატივა და ინტერესი ამ სახის დავების მიმართ.

ამასთან, რევაზ ნადარაია გამოირჩევა მიზანდასახულობით, მონდომებით, ცდილობს მისთვის მიცემული დავალება შეასრულოს ზედმიწევნით სრულყოფილად, რისთვისაც მაქსიმალურად იტვირთავს თავს და თავისი ინიციატივით დასვენების და უქმე დღეებშიც მუშაობს.

აღსანიშნავია, რომ პირად ურთიერთობაში გამოირჩევა კომუნიკაბელურობით, არის მშვიდი, გაწონასწორებული, მიზანდასახული, შრომისმოყვარე, პუნქტუალური პიროვნება, რომელსაც გაცნობიერებული აქვს თავისი არჩევანი და სრული პასუხისმგებლობით ეკიდება მას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ რევაზ ნადარაია ხასიათდება დადებითად, პროფესიული უნარ-ჩვევები და პიროვნული თვისებები მისცემს შესაძლებლობას საკმაოდ კარგად გაართვას თავი სამოსამართლო საქმიანობას, თუმცა, თუ იგი ადმინისტრაციული სამართლის კუთხით დაიწყებს მუშაობას, საკუთარ თავზე მოუწევს ბევრად მეტი მუშაობა.

თბილისი საქალაქო სასამართლოს
ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლე

ინგა კვაჭანტირაძე

დ ა ხ ა ს ი ა თ ე ბ ა

იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელმა რევაზ ნადარაიამ გაიარა ერთთვიანი სტაჟირება თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაში.

რევაზ ნადარაიას გავლილი აქვს მნიშვნელოვანი საფეხური, იგი მუშაობდა მოსამართლის თანაშემწედ და პრაქტიკული საქმიანობის გამოცდილება გააჩნია. მას ასევე აქვს საფუძვლიანი თეორიული ცოდნა, ამზადებს საპროცესო დოკუმენტების პროექტებს, შეუძლია სამართლებრივი მსჯელობა მნიშვნელოვან სამართლებრივ პრობლემებზე. არის საკმაოდ პრინციპული და არ ექცევა სხვისი აზრის ზეგავლენის ქვეშ, თუ საკითხის სისწორეში არ დარწმუნდა მყარი სამართლებრივი არგუმენტაციის მოშველიებით.

რევაზ ნადარაიამ სტაჟირების პერიოდში გამოავლინა სისხლის სამართლის კანონმდებლობის ცოდნა. აშკარაა, რომ აქვს მყარად ჩამოყალიბებული შეხედულება, რომ მისი საქმიანობა უნდა უკავშირდებოდეს სისხლის სამართალს, თუმცა აქვს მაღალი პასუხისმგებლობა და მასზე დაკისრებულ მოვალეობებს შრომისმოყვარეობის, მონდომებისა და პასუხისმგებლობის ხარჯზე აუცილებლად გაუმკლავდება.

რევაზ ნადარაია ადამიანური თვისებებითაც გამორჩეულია. მისი პიროვნული თვისებები, კანონმდებლობის ცოდნა, ლოგიკური აზროვნება, პრინციპულობა, პატიოსნება გვაძლევს საფუძველს დასკვნისათვის, რომ აქვს ის თვისებები, რაც საჭირო და აუცილებელია მოსამართლის ძალიან საპასუხისმგებლო და რთული საქმიანობისათვის.

თბილისის საქალაქო სასამართლოს
სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის
მოსამართლე **სოფიო მაჭავარიანის**

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი **რევაზ ნადარაია** სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში სავალდებულო სტაჟირებას გადიოდა 2008 წლის 7 ნოემბრიდან ამავე წლის 8 დეკემბრის ჩათვლით. მას გამოცდა სისხლის სამართლის სპეციალიზაციით აქვს ჩაბარებული და არასდროს ჰქონია პრაქტიკა სამოქალაქო სამართლის მიმართულებით, თუმცა აღსანიშანვია, რომ ასეთ ობიექტურ პირობებში მან პირველივე დღეებიდან შეძლო ალღოს აღება სამოქალაქო კანონმდებლობის ნიუანსებისათვის და გადაწყვეტილების პროექტს ამზადებდა საკმაოდ კარგად.

რევაზ ნადარაია არის უზომოდ მობილიზებული და შეუძლია ერთნაირი გულისყურით მოეკიდოს როგორც წმინდა პროცესუალურ მხარეს, ისე სასარჩელო მოთხოვნებზე თეორიულ მსჯელობასაც. ვინაიდან მას არ გააჩნია სამოქალაქო კანონმდებლობის სიღრმისეული ცოდნა, გადაწყვეტილების შედეგამდე მიდიოდა სწორად, კანონშესაბამისად, თუმცა მისი საფუძვლიანობის თანმიმდევრული და სიღრმისეული დასაბუთება ზოგჯერ უჭირდა. ერთ შემთხვევაში პროექტის მომზადებისას სამოქალაქო პროცესის ძირეული პრიონციპების აღრევაც მოხდა მისი მხრიდან, თუმცა ეს, ალბათ, გამოწვეული იყო იმ გარემოებით, რომ მას სამოქალაქო სამართალთან პრაქტიკული შეხება არასდროს ჰქონია. მიმაჩნია, რომ მისი დახასიათებისათვის უმთავრესია აღინიშნოს, რომ არის მიზანდასახული, მყარი პიროვნება, რომელსაც აქვს სწრაფი და ლოგიკური აზროვნება, ხედმეტი ძალდატანების გარეშე შეუძლია სრული მობილიზების გაკეთება და ერთნაირი ყურადღების გამახვილება ნებისმიერ ნიუანსზე, არის უზომოდ დაკვირვებული როგორც საქმისადმი, ისე ჩვეულებრივ ურთიერთობაშიც.

კვლავ მივუთითებ, რომ მიუხედავად სამოქალაქო სამართალში ნაკლები პრაქტიკისა, **რევაზ ნადარაიამ** შეძლო სრული თავმოყრა და მობილიზაცია მისი ცოდნისა და პროექტზე მუშაობისას თუ სხვადასხვა საკითხებზე მსჯელობისას, საკუთარ აზრს ყოველთვის გამოხატავდა სწორად, თუმცა, როგორც ზემოთაც აღვნიშნე, მის დასაბუთებასა და სიღრმისეულ გამყარებას ვერ ახდენდა, მაგრამ სამართლებრივ პოლემიკაში ნებისმიერ კერძოსამართლებრივ საკითხზე ლოგიკურ და, ხშირ შემთხვევაში, სწორ პასუხს იძლეოდა.

სტაჟირების გავლისას ესწრებოდა სასამართლო პროცესებს. ხშირად მუშაობდა საკუთარ თავზე და ამზადებდა პროექტებს დასვენების

დღეებშიც, თუმცა ვინაიდან სტაჟირების დაწყებისას ჩვენთვის ცნობილი იყო, რომ მათი სწავლა 5 დღიანი იყო და შეფასებაც ასე უნდა მომხდარიყო, შესაბამისად, იგი შეფასებულ ექნა მხოლოდ კვირის სამუშაო დღეების გათვალისწინებით, რაც სრულებით არ ნიშნავს, რომ იგი არასამუშაო დღეებში არ მუშობდა ან იჩენდა საქმისადმი გულგრილობას.

აღსანიშნავია, რომ პირად ურთიერთობას როგორც ჩემთან ისე სასამართლოს რიგით თანამშრომლებთან **რევაზ ნადარაია** ამყარებდა ნორმალურად, ღიად, თუმცა მისი პიროვნული თვისებებიდან გამომდინარე, მუდამ ერჩივნა სხვისთვის ესმინა, ვიდრე აზრი გამოეხატა, რა დროსაც აკვირდებოდა ყველას და ყველაფერს და პასუხს ყოველთვის და ყველაფერზე, უზომოდ ტაქტიანად და მშვიდად, მაგრამ მოკლედ და კონკრეტულად იძლეოდა. რაც შეეხება მის პიროვნულ თვისებებს, არის უსაზღვროდ მიზანდასახული, შრომისმოყვარე, მობილიზებული, დაკვირვებული, თავმოყვარე, საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნებული, თუმცა არა ამბიციური და ურთიერთობების ე.წ კულტურას კარგად ფლობს.

ასევე ნიშანდობლივია, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ **რევაზ ნადარაიას** სამოქალაქო კუთხით პრაქტიკა არ ჰქონია და სამოქალაქო კოლეგიაში მისთვის პრაქტიკის გავლა, ვფიქრობ, გარკვეულ ფსიქოლოგიურ დისკომფორტსაც წარმოადგენდა, მიუხედავად ამისა, მან შეძლო საკუთარი ე.წ რესურსების სრული მობილიზაცია და გადაწყვეტილებების პროექტების მომზადებისას საკმაოდ მაღალი მაჩვენებელიც დაიმსახურა. მიმაჩნია, რომ **რევაზ ნადარაია** არის მყარი და მიზანდასახული ადამიანი, რომელსაც გააზრებული აქვს საკუთარი არჩევანის მნიშვნელობა და შესწევს უნარი გაართვას თავი მოსამართლის საქმიანობას, თუმცა თუ მას სამოქალაქო სპეციალიზაციით მოუწევს საქმიანობის დაწყება, საკუთარ თავზე ბევრად მეტი მუშაობა მოუწევს, მაგრამ იმდენად სწრაფად და ეფექტურად ითვისებს ნებისმიერ სიახლეს, რომ ვფიქრობ, მეტი ძალისხმევის შედეგად, მაგრამ ამასაც წარმატებულად შეძლებს.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, **რევაზ ნადარაიას** ვახასიათებ დადებითად და მიმაჩნია, რომ იგი პროფესიული უნარ-ჩვევებისა და პიროვნული თვისებების გათვალისწინებით, სრულყოფილად შეძლებს სამოსამართლეო საქმიანობის განხორციელებას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს
სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე

ს. მაჭავარიანი

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენცია

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №3

ქ.თბილისი

30 ოქტომბერი, 2020 წელი

„საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის არჩევის თაობაზე“ საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის 2017 წლის 8 აპრილის №5 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 48-ე მუხლის პირველი პუნქტის “ა“ ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის რეგლამენტის მე-6 და მე-7 მუხლების შესაბამისად, საქართველოს მოსამართლეთა კონფერენცია

ა დ გ ე ნ ს:

1. ცნობად იქნეს მიღებული საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის - რევაზ ნადარაიას მიერ წარმოდგენილი განცხადება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის თანამდებობის დატოვების თაობაზე (დანართი: 2 ფურცელი).

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის 2017 წლის 8 აპრილის №5 დადგენილება რევაზ ნადარაიას საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად არჩევის თაობაზე.

3. ეს დადგენილება ამოქმედდეს 2020 წლის 30 ოქტომბრიდან.

ილონა თოდუა

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის
ადმინისტრაციული კომიტეტის თავმჯდომარე

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციას

ასლი: საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის
ადმინისტრაციულ კომიტეტს

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 07 ოქტომბრის გადაწყვეტილებით იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის წარსადგენი კანდიდატების შერჩევის პროცედურა.

გამომდინარე იქიდან, რომ მსურს მითითებულ პროცედურაში მონაწილეობის მიღება, საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 48-ე მუხლის 1- პუნქტის „ა" ქ/პუნქტის თანახმად ვტოვებ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის თანამდებობას და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად გთხოვთ, ჩემი აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ ინფორმაცია, მიიღოთ ცნობად.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი
საბჭოს წევრი
რევაზ ნადარაია

22.10.2020 წ.

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის
ადმინისტრაციული კომიტეტი
№ 3-1/12 შეტყობინების რაოდენობა 1
22.10.20 ხელმოწერა დრო
თარიღი

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენცია

დადგენილება №5

ქ. თბილისი

8 აპრილი, 2017 წ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის

არჩევის თაობაზე

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 65-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის რეგლამენტის მე-6 მუხლის შესაბამისად, საქართველოს მოსამართლეთა კონფერენცია

ადგენს:

1. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად არჩეულ იქნეს თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის თავმჯდომარე რევაზ ნადარაია.

2. ეს დადგენილება ამოქმედდეს 2017 წლის 8 აპრილიდან.

ნინო გვენეტაძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/265 „25" ოქტომბერი 2019 წ.

გ ა ნ კ ა ნ წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

რ. ნადარაიას საპროკურორო საბჭოს წევრად არჩევის შესახებ

„პროკურატურის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის საფუძველზე, თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე რევაზ ნადარაია არჩეულ იქნეს საპროკურორო საბჭოს წევრად.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *რევაზ ნადარაიას* ---------- შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☑

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	18	20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	19	20
წერის უნარი	19	20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	15	15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	15	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	4	5
პროფესიული აქტივობები	4	5
ქულათა ჯამი	94	100

სახელი, გვარი: თეა ლეონიძე თ. [signature]

თარიღი: 28.05.2021

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ პროცედურაში მონაწილე კანდიდატის

რევაზ ნადარაიას

შეფასების დასაბუთება

,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34^1, 36^3, 36^4 მუხლის მე-8 ნაწილის საფუძველზე განვახორციელე კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების ხუთი მახასიათებლის და კომპეტენტურობის შვიდი მახასიათებლის გათვალისწინებით. ჩემი შეფასება ეფუძნება კანდიდატის მიერ წარმოდგენილ და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოძიებულ ინფორმაციას, ასევე საჯარო მოსმენის შედეგად მიღებულ მონაცემებს.

ზოგადი ინფორმაცია კანდიდატზე: რევაზ ნადარაია - დაბადებული 1979 წლის 11 აგვისტო, უმაღლესი იურიდიული განათლებით, (თსუ სოხუმის ფილიალი) არის თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო სამართლის საქმეთა პალატის მოსამართლე, აქვს სპეციალობით მუშაობის 18 წლიანი გამოცდილება, მათ შორის მოსამართლედ მუშაობის გამოცდილება 11 წელი.

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით:

,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35^1 მუხლის მე-15 ნაწილის თანახმად კეთილსინდისიერების კრიტერიუმით მოსამართლეობის კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება ამ მუხლით განსაზღვრული კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მახასიათებლები. ამ მახასიათებლების ანალიზისა და შეჯერების შედეგად ვიღებ ერთ-ერთ დასკვნას:

ა) მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს;

ბ) მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს;

გ) მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

1. **პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი:**

საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 36^3 მუხლის მესამე პუნქტის თანახმად პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება პირის - როგორც მოსამართლისა და მოქალაქის - პატიოსნება, კეთილსინდისიერება, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება, სიმართლისმოყვარეობა, გამჭირვალობა კორექტულობა და სიზუსტე სამსახურებრივი თუ სხვა მოვალეობების, ფინანსური თუ სხვა ვალდებულებების შესრულებისას (მაგალითად, ქონებრივი დეკლარაციის შევსებისას, ბანკის

ან სხვა ვალის, კომუნალური ან სხვა გადასახადის გადახდისას, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის ჯარიმის გადახდისას) და სხვა.

კანდიდატის მიერ წარმოდგენილი და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე ირკვევა, რომ კანდიდატ რევაზ ნადარაიას სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე ირკვევა, რომ საანგარიშო პერიოდში რევაზ ნადარაიას ადმინისტრაციული სახდელი არ დაკისრებია. რეკომენდატორები გამოარჩევენ კანდიდატის კეთილსინდისიერებას, პატიოსნებას, სიდინჯეს, გასაუბრებისას გამოიკვეთა კანდიდატის კორექტულობა, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება.

ზემოხსენებული მონაცემების საფუძველზე, მივიჩნევ, რომ კანდიდატი გამოირჩევა მიზანდასახულობით და მოვალეობებისადმის მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მივიჩნევ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ამ მახასიათებელს.

2. **დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა:**

დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება მისი პრინციპულობა, გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი და ზეგავლენის მიმართ მედეგობა, პიროვნული სიმყარე და შეუვალობა, პოლიტიკური ან სხვა ნიშნით მიუკერძოებლობა, სამართლიანობა და სხვა.

მოპოვებული მონაცემების საფუძველზე ირკვევა, რომ კანდიდატი არ ყოფილა არცერთი პოლიტიკური პარტიის წევრი/მხარდამჭერი და შემომწირველი, როგორც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრს გაკეთებული აქვს საჯარო განცხადებები, გასაუბრებისას გამოიკვეთა მისი პრინციპულობა, გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი. შესაბამისად მივიჩნევ, რომ კანდიდატი რევაზ ნადარაია არის დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და სამართლიანი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მივიჩნევ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ამ მახასიათებელს.

3. **პიროვნული და პროფესიული ქცევა:**

პიროვნული და პროფესიული ქცევის მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება მის მიერ სამოსამართლო ეთიკის დაცვა, მისი კორექტულობა კოლეგებთან და სხვა პირებთან ურთიერთობისას, მოსამართლის მაღალი წოდების შესაბამისი ქცევა და იმიჯი, თავდაჭერილობა, საკუთარი ემოციების მართვის უნარი, ქცევა მის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების მიმდინარეობისას, მხარედ მისი მონაწილეობით სასამართლოში წარმართული დავები, მის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი ბრალდებების არსებობა და სხვა.

მონაცემების საფუძველზე ირკვევა, რომ რევაზ ნადარაია იცავს სამოსამართლო ეთიკას, კოლეგებთან არის კორექტული, გასაუბრების დროს მისი ქცევა და იმიჯი შეესაბამებოდა მოსამართლის მაღალ წოდებას, მის მიმართ დისციპლინური დევნა არ დაწყებულა, კანდიდატი მხარედ ან დაზარალებულად არ ყოფილა წარმოდგენილი, გააჩნია ემოციების მართვის უნარი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მივიჩნევ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ამ მახასიათებელს.

4. **პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია:**

პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება მისი საქმიანი და მორალური რეპუტაცია და ავტორიტეტი იურიდიულ წრეებსა და საზოგადოებაში, იურიდიულ წრეებთან ურთიერთობის ხასიათი ხარისხი და სხვა.

კანდიდატი რევაზ ნადარაია 2017 წლიდან 2020 წლამდე იყო იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი, 2019 წლის ნოემბრიდან კი არის საპროკურორო საბჭოს წევრი. მედია დაინტერესდა, მისი როგორც მოსამართლის ისე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის რანგში საქმიანობით. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრობა მეტყველებს კოლეგების მხრიდან მის მიმართ დადებით დამოკიდებულებასა და მის კარგ რეპუტაციაზე, რეკომენდატორები და რესპოდენტები გამოარჩევენ მის კეთილსინდისიერებას, გაწონასწორებულობას, შრომისმოყვარეობას, კომპეტენტურობას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მივიჩნევ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ამ მახასიათებელს.

5. **ფინანსური ვალდებულება:**

ფინანსური ვალდებულების მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება ინფორმაცია მისი შემოსავლის წყაროს, აქტივების, საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებული ქონების და ამ ქონებისა და შემოსავლის შესაბამისი ვალისა და ვალდებულების შესახებ. ფინანსური ვალდებულების შემოწმების მიზანია, შეფასდეს, არსებობს თუ არა საფუძველი მოსამართლის ქონებრივი ინტერესების მართლმსაჯულების ინტერესებთან დაპირისპირებისა, რამაც შესაძლოა საფრთხე შეუქმნას მოსამართლის მიუკერძოებლობას.

კანდიდატ რევაზ ნადარაიას აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია, აქვს მიმდინარე სესხი, სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება, კანდიდატს საკუთრებაში აქვს ორი საცხოვრებელი სახლი, სამი მიწის ნაკვეთი, ბინა და არასაცხოვრებელი ფართი. კანდიდატის შემოსავლების დაუსაბუთებლობის ან უკანონობის ნიშნები არ გამოვლენილა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მივიჩნევ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ამ მახასიათებელს.

აღნიშნული მახასიათებლების გათვალისწინებით მივიჩნიე, რომ კანდიდატი რევაზ ნადარაია სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით:

,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36[4] მუხლის მე-8 ნაწილის თანახმად კომპეტენტურობის კრიტერიუმით მოსამართლეობის კანდიდატი ფასდება ქულებით. კომპეტენტურობის კრიტერიუმის მახასიათებლის მნიშვნელობიდან გამომდინარე თითოეული მახასიათებლის მიხედვით მოსაპოვებელ ქულათა მაქსიმალური რაოდენობაა:

ა) სამართლის ნორმების ცოდნა - 20 ქულა;

ბ) სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია - 20 ქულა;

გ) წერის უნარი - 20 ქულა;

დ) ზეპირი კომუნიკაციის უნარი - 15 ქულა;

ე) პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში - 15 ქულა;

ვ) აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა - 5 ქულა;

ზ) პროფესიული აქტივობა - 5 ქულა.

1. **სამართლის ნორმების ცოდნა:**

სამართლის ნორმების ცოდნის მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობების, ადამიანის უფლებების სამართლის, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის, ცოდნის დონე. ამ მახასიათებლით მოსამართლის შეფასების მიზნით შემფასებელი ითვალისწინებს მოსამართლის მიერ განხილულ საქმეებზე გამოტანილ გადაწყვეტილებებში სამართლის ნორმების, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის, გამოყენების სისწორეს. აღნიშნული მახასიათებლით მოსამართლის შესაფასებლად შემფასებელი აგრეთვე გამოითხოვს მოსამართლის მიერ ჩაბარებული მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის შედეგებს და იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებას.

კანდიდატის მიერ წარმოდგენილი და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოპოვებულ მონაცემებზე დაყრდნობით ირკვევა, რომ 2007 წელს კანდიდატს ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა სისხლის სამართლის სპეციალიზაციით, 2003 წელს გავლილი აქვს მოსამართლის თანაშემწის სპეციალური კურსი, ასევე ჩაბარებული აქვს პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო გამოცდა, 2009 წელს დაასრულა იუსტიციის უმაღლესი სკოლის სასწავლო კურსი. კანდიდატის მიერ წარმოდგენილ იქნა ფოთის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 14 მარტის განაჩენი, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 276-ე მუხლის მე-5 ნაწილით. განაჩენი სტილისტურად აგებულია კანონის მოთხოვნათა დაცვით, მოსამართლის მიერ სამოტივაციო ნაწილი დასაბუთებულია დეტალურად, შეფასებულია ყველა მნიშვნელოვანი მტკიცებულება. კანდიდატმა გასაუბრების მიმდინარეობისას მიმოიხილა დისკრიმინაციის საკითხები, სისხლის

სამართლის პროცესის მიმდინარეობისას მოწმის დაკითხვის საკითხები, გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებული საკითხები, აღკვეთის ღონისძიებანი. ასევე ვითვალისწინებ, რომ კანდიდატი სამოსამართლეო უფლებამოსილებას ახორციელებდა რაიონულ, შემდგომ საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებში. ასევე იხილავს, როგორც სისხლის ასევე სამოქალაქო კატეგორიის საქმეებს. შესაბამისად მივიჩნევ, რომ კანდიდატი ფლობს სამართლებრივ ნორმებს და შესწევს უნარი მათი სწორი სამართლებრივი განმარტებისა.

აღნიშნულის გათვალისწინებით კანდიდატ რევაზ ნადარაიას სამართლის ნორმების ცოდნას ვაფასებ 18 ქულით.

2. **სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია:**

სამართლებრივი დასაბუთების უნარისა და კომპეტენციის მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება მის მიერ განხილულ საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილებების დასაბუთებულობა და დამაჯერებლობა, მოსამართლის ანალიტიკური აზროვნების უნარი და პროფესიული გამოცდილება.

კანდიდატ რევაზ ნადარაიას აქვს სპეციალობით მუშაობის 18 წლიანი გამოცდილება, მათ შორის მოსამართლედ მუშაობის გამოცდილება 11 წელი. მის მიერ წარმოდგენილ განაჩენში მოყვანილი გარემოებები დასაბუთებულია, სამართლებრივი შეფასება დამაჯერებელია, კანდიდტის ანალიტიკური აზროვნება, საკითხების სრულყოფილად წარმოჩენის უნარი გამოჩნდა ასევე გასაუბრების მიმდინარეობისასაც.

აღნიშნულის გათვალისწინებით კანდიდატ რევაზ ნადარაიას სამართლებრივი დასაბუთების უნარს და კომპეტენციას ვაფასებ 19 ქულით.

3. **წერის უნარი:**

წერის უნარის მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება აზრის ნათლად და გასაგებად გადმოცემის, ლოგიკური მსჯელობისა და ანალიზის უნარი.

კანდიდატის მიერ წარმოდგენილი განაჩენის გაცნობის შემდეგ, ვასკვნი, რომ აზრს ნათლად და გასაგებად გადმოსცემს, სასვენი ნიშნები, უმეტეს შემთხვევაში, გამოყენებულია სწორად. სამართლებრივი დოკუმენტი არ არის დატვირთული არამიზნობრივი მსჯელობით, წარმოდგენილ განაჩენში არ არის გამოყენებული ევროსასამართლოს გადაწყვეტილება.

აღნიშნულის გათვალისწინებით კანდიდატ რევაზ ნადარაიას წერის უნარს ვაფასებ 19 ქულით.

4. **ზეპირი კომუნიკაციის უნარი:**

ზეპირი კომუნიკაციის უნარის მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება გამართული მეტყველების უნარი, სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის უნარი, ღიაობა, განსხვავებული აზრის მოსმენის შესაძლებლობა და სხვა.

ზეპირი კომუნიკაციის უნარის შეფასებისას მხედველობაში მივიღე კანდიდატის გასაუბრება, რეკომენდატორების შეფასებები. გასაუბრების მიმდინარეობისას კანდიდატი ინარჩუნებდა სიმშვიდეს, აზრს გადმოსცემდა გასაგებად. კანდიდატს შესწევს უნარი დაიცვას საკუთარი პოზიცია კონსტრუქციული მსჯელობის ფარგლებში, საუბრისას ყურადღება გაამახვილოს მნიშვნელოვან გარემოებებზე.

აღნიშნულის გათვალისწინებით კანდიდატ რევაზ ნადარაიას ზეპირი კომუნიკაციის უნარს ვაფასებ 15 ქულით.

5. **პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში:**

პროფესიული თვისებების, მათ შორის, სასამართლო დარბაზში ქცევის, მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება მისი პუნქტუალურობა, საქმის ჯეროვნად და პასუხისმგებლობით მომზადება, ქცევა სასამართლო დარბაზში და სასამართლო სხდომის სათანადოდ წარმართვის უნარი, ქცევა მხარეებთან ურთიერთობისას, გულმოდგინება და შრომისმოყვარეობა, გადაწყვეტილების დაუხმარებლად მიღებისა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, სტრესულ სიტუაციაში მუშაობის უნარი, მიზანდასახულობა, პროდუქტიულობა და სისწრაფე, საპროცესო ვადების დაცვა, მენეჯერული უნარ-ჩვევები და სხვა.

კანდიდატი საქმის განხილვის საპროცესო ვადები ძირითადად დაცულია, კანდიდატი ასრულებდა სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობას, რაც მეტყველებს მის მენეჯერულ უნარ-ჩვევებზე. რეკომენდატორები გამოთქვამენ მოსაზრებას მის შრომისმოყვარეობასთან, კორექტულობასთან და ობიექტურობასთან დაკავშირებით. აღნიშნულიდან გამომდინარე შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატი რევაზ ნადარაია არის შრომისმოყვარე და დამოუკიდებელი აზროვნების უნარის მქონე პიროვნება.

აღნიშნულის გათვალისწინებით კანდიდატ რევაზ ნადარაიას პროფესიულ თვისებებს, მათ შორის, ქცევას სასამართლო დარბაზში ვაფასებ 15 ქულით.

6. **აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა:**

აკადემიური მიღწევებისა და პროფესიული წვრთნის მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება სიახლეების მიმართ მისი ღიაობა, თვითგანვითარების უნარი, საოფისე კულტურა, ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი, პროფესიული წვრთნის პროგრამებში მონაწილეობა, შეძენილი ცოდნისა და უნარების პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენება და სხვა.

კანდიდატი რევაზ ნადარაიას მონაწიელობა აქვს მირებული ტრენინგებში: ადამიანის უფლებები; სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსის პროექტი, სამუშაო ტექნიკა სამოქალაქო პროცესში, გადაწყვეტილების ჩამოყალიბება, აგებულება, დასაბუთება; არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხები, საარჩევნო კანონმდებლობა, ახალი

საგადასახადო კოდექსი, ბავშვის უფლებათა კოდექსი, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენება და სხვა.

აღნიშნულის გათვალისწინებით კანდიდატ რევაზ ნადარაიას აკადემიურ მიღწევებს და პროფესიულ წვრთნას ვაფასებ 4 ქულით.

7. **პროფესიული აქტივობა:**

პროფესიული აქტივობის მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე სხვადასხვა ფორმატის დისკუსიებში, შეხვედრებსა და სემინარებში მისი მონაწილეობა, საკუთარი პოზიციისა და შეხედულებების ღიად და თავისუფლად გამოხატვა, ინიციატივის გამოჩენის უნარი, იდეებისა და წინადადებების წამოყენება, სამეცნიერო და სხვა სახის პუბლიკაციები, დამსახურება იურიდიული პროფესიისა და საზოგადოების წინაშე და სხვა.

კანდიდატი მონაწილეობს შეხვედრებსა და სემინარებში. კანდიდატი რევაზ ნადარაია 2017 წლიდან 2020 წლამდე იყო იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი, ასევე საბჭოს მიერ წარდგენილ იქნა და 2019 წლიდან არის საპროკურორო საბჭოს წევრი.

აღნიშნულის გათვალისწინებით კანდიდატ რევაზ ნადარაიას პროფესიულ აქტივობას ვაფასებ 4 ქულით.

კანდიდატის საბოლოო შეფასება:

კანდიდატ რევაზ ნადარაიას კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით ვანიჭებ **94** ქულას.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი

საბჭოს წევრი თეა ლეონიძე თ.

თარიღი: 28.05.2021

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *რევაზ ნადარაიას* ---------- **შეფასების შედეგი:**

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	**18**	**20**
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	**20**	**20**
წერის უნარი	**20**	**20**
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	**14**	**15**
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	**14**	**15**
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	**5**	**5**
პროფესიული აქტივობები	**4**	**5**
ქულათა ჯამი	**95**	**100**

სახელი, გვარი : ნიკოლოზ მარსაგიშვილი

თარიღი: 28/05-2021

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის

რევაზ ნადარაიას შეფასების დასაბუთება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის რევაზ ნადარაიას შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით.

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით		**კომენტარი**
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	კანდიდატი რევაზ ნადარაია გამოირჩევა კორექტულობით, პრინციპულობითა და გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარით. აღსანიშნავია, რომ კანდიდატს აქვს მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება და სამსახურებრივ თუ სხვა სახის მოვალეობებს, მათ შორის, ფინანსურ ან სხვა ხასიათის ვალდებულებებს (ქონებრივი დეკლარაციის შევსება, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის ჯარიმის გადახდა და სხვ.) ასრულებს
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	

მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒		ჯეროვნად. აგრეთვე, რევაზ ნადარაია იცავს სამოსამართლო ეთიკის წესებს, კოლეგებთან თუ სხვა პირებთან ურთიერთობისას არის კორექტული და გამოირჩევა მოსამართლის მაღალი წოდების შესაბამისი ქცევითა და იმიჯით. უნდა ითქვას ისიც, რომ მის წინააღმდეგ დისციპლინური დევნა არ დაწყებულა.
მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით			**კომენტარი**
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**	
სამართლის ნორმების ცოდნა	18	20	რევაზ ნადარაია სისხლის სამართლის მიმართულებით სრულყოფილად ფლობს მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას. ასევე, მასთან გამართული საჯარო მოსმენის შედეგად ნათელი გახდა, რომ იგი იცნობს სამოქალაქო სამართალსა და ადამიანის უფლებების სამართალს. აგრეთვე, კანდიდატი სისტემატიურად ეცნობა უზენაესი სასამართლოს პრაქტიკასა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს. აღსანიშნავია, რომ რევაზ ნადარაიას ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა (სისხლის სამართლის სპეციალიზაცია). იგი იყო საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის I ჯგუფის მსმენელი (2009წ) და იუსტიციის მსმენელთა საერთო საკვალიფიკაციო სიაში დაიკავა - 82-ე ადგილი.
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	20	20	კანდიდატს აქვს ხანგრძლივი პროფესიული, მათ შორის, მოსამართლის თანამდებობაზე მუშაობის 11 წლიანი გამოცდილება. აგრეთვე, იგი გამოირჩევა ანალიტიკური აზროვნებითა და მისი პოზიციის დამაჯერებლად გადმოცემის უნარით.

წერის უნარი	20	20	რევაზ ნადარაიას მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტის[1] შესწავლის საფუძველზე შესაძლებელია ითქვას, რომ იგი გამოირჩევა კარგი წერის უნარით. კერძოდ, კანდიდატი თანმიმდევრულად და ნათლად აანალიზებს ფაქტებსა და სამართლებრივ საკითხებს. მის მიერ განვითარებული მსჯელობა არის გასაგები და არაორაზროვანი.
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	14	15	კანდიდატი გამოირჩევა გამართული მეტყველების უნარით. იგი საკუთარ პოზიციასა და შეხედულებებს გადმოსცემს ღიად, ნათლად და თანმიმდევრულად. აგრეთვე, გააჩნია სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის შესაძლებლობა.
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	14	15	რევაზ ნადარაია გამოირჩევა შრომისმოყვარეობით, გულმოდგინებით, მიზანდასახულობით და გააჩნია გადაწყვეტილების დაუხმარებლად მიღებისა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი. ამასთან, 2017 წლის 1 ნოემბრიდან - 2020 წლის 1 ნოემბრამდე პერიოდში, კანდიდატის წარმოებაში არსებულ საქმეთა განხილვის სტატისტიკური ინფორმაციის თანახმად, არც ისე მაღალია მის მიერ საპროცესო ვადების დაცვით განხილულ საქმეთა პროცენტული მაჩვენებელი - 66,7%, უცვლელად დატოვებულ გასაჩივრებულ გადაწყვეტილებათა პროცენტული მაჩვენებელი კი შეადგენს - 80%-ს.
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	5	5	კანდიდატი არის ღია სიახლეების მიმართ და გამოირჩევა თვითგანვითარების, ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესით. აღსანიშნავია, რომ იგი აქტიურად იღებს მონაწილეობას სხვადასხვა სემინარში.

[1] ფოთის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 14 მარტის განაჩენი, საქმე N1/145-2013.

პროფესიული აქტივობა	4	5	რევაზ ნადარაიას პროფესიულ აქტივობასთან დაკავშირებით შესაძლებელია ითქვას, რომ მას მონაწილეობა აქვს მიღებული მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ არაერთ ღონისძიებაში. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ კანდიდატი არ არის დაკავებული სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობით და არ აქვს მომზადებული სამეცნიერო ან სხვა სახის პუბლიკაცია.
ქულათა ჯამი	95	100	

დასაბუთება	**უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მახასიათებლების მიხედვით** „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, იმის დასადგენად თუ რამდენად აკმაყოფილებს კანდიდატი რევაზ ნადარაია კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, წინამდებარე დასკვნაში წარმოდგენილი და გაანალიზებულია მისი შეფასება აღნიშნული კრიტერიუმის თითოეულ მახასიათებელთან მიმართებით. კერძოდ, პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი; დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა; პიროვნული და პროფესიული ქცევა; პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია; ფინანსური ვალდებულება. აღსანიშნავია, რომ კეთილსინდისიერების კრიტერიუმით რევაზ ნადარაიას შეფასება დაეყრდნო კანდიდატების შესახებ მოძიებულ ინფორმაციას, რა დროსაც სხვადასხვა უწყებიდან მოხდა მის შესახებ შემდეგი სახის ინფორმაციის გამოთხოვა: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან მონაცემები ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ, სს „კრედიტინფო საქართველოდან“ სრული პერსონალური საკრედიტო ინფორმაცია, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურიდან ცნობა შემოსავლების შესახებ, საჯარო სამსახურის ბიუროდან ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია, კანდიდატის სამუშაო ადგილიდან ინფორმაცია დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ, რევაზ ნადარაიას დახასიათების მიზნით მასთან

	სამსახურეობრივ და პირად ურთიერთობაში მყოფი პირებისგან შევსებული სპეციალური ფორმის რეკომენდაციები, კითხვარები და სხვ. ამასთან, მნიშვნელოვანია, აღინიშნოს ისიც, რომ რევაზ ნადარაიას შეფასებისას გათვალიწინებულ იქნა მის მიერ განაცხადის შევსებისას მითითებული ინფორმაცია და საჯარო მოსმენისას კანდიდატის მხრიდან გამოვლენილი სხვადასხვა თვისებები, მახასიათებლები და სხვ. ზემოაღნიშნულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, კანდიდატთან დაკავშირებით *<u>პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის</u>* მახასიათებლის შესახებ მოძიებული ინფორმაციის თანახმად შესაძლებელია ითქვას, რომ რევაზ ნადარაიას გააჩნია პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება და სამსახურებრივ თუ სხვა სახის მოვალეობებს, მათ შორის, ფინანსურ ან სხვა ხასიათის ვალდებულებებს (ქონებრივი დეკლარაციის შევსება, ბანკის ან სხვა ვალის გადახდა, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის ჯარიმის გადახდა და სხვ.) უმეტესად ასრულებს ჯეროვნად. ამასთან, კანდიდატის დახასიათებისას, გამოკითხული რეკომენდატორები და მასთან სამსახურეობრივ თუ პირად ურთიერთობაში მყოფი პირები, უთითებენ, რომ იგი გამოირჩევა პატიოსნებით, კომუნიკაბელურობით, თავდაჯერებულობით, კეთილსინდისიერებით, შრომისმოყვარეობითა და საქმისადმი ერთგულებით. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ რევაზ ნადარაია საჯარო მოსმენაზე ახერხებდა საკუთარი პოზიციის მშვიდად და კორექტულად გამოხატვას. რაც შეეხება *<u>დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის მახასიათებელს</u>*, ამის თაობაზე მოძიებული ინფორმაციის საფუძველზე შესაძლებელია ითქვას, რომ კანდიდატი გამოირჩევა პიროვნული სიმყარით, შეუვალობითა და გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარით. ამასთან, რევაზ ნადარაიამ საჯარო მოსმენაზე სხვადასხვა სამართლებრივ თუ ზოგად საკითხზე მსჯელობისას გამოავლინა, რომ იგი არის პრინციპული, გაწონასწორებული და თავდაჯერებული. რეკომენდატორები და გამოკითხული პირები კი კანდიდატის შეფასებისას, აცხადებენ, რომ იგი ხასიათდება დამოუკიდებლობით, ობიექტურობით, სამართლიანობითა და მიუკერძოებლობით. რაც შეეხება, მის პოლიტიკურ ან სხვა ნიშნით მიუკერძოებლობის საკითხს, ამასთან დაკავშირებით უნდა აღნიშნოს, რომ რევაზ ნადარაია არ ყოფილა არცერთი პოლიტიკური პარტიის წევრი/მხარდამჭერი, შემომწირველი და საჯარო მოსმენაზეც მისი მხრიდან არ გამოვლენილა პოლიტიკური ან სხვაგვარი მიკერძოებულობის ნიშნები. *<u>პიროვნული და პროფესიული ქცევის მახასიათებელთან</u>* დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ <u>რევაზ ნადარაია</u> იცავს სამოსამართლო ეთიკის წესებს, კოლეგებთან თუ სხვა პირებთან

	ურთიერთობისას არის კორექტული და გამოირჩევა მოსამართლის მაღალი წოდების შესაბამისი ქცევითა და იმიჯით. საჯარო მოსმენაზე კანდიდატმა სხვადასხვა პრობლემურ და აქტუალურ სამართლებრივ საკითხებზე საუბრისას გამოავლინა, რომ იგი არის მშვიდი, თავდაჭერილი და გააჩნია საკუთარი ემოციების მართვის უნარი. აღსანიშნავია, რომ რეკომენდატორები მას ახასიათებენ როგორც დინჯ, თავმდაბალ, თავაზიან და კორექტულ პიროვნებას. ამასთან, უნდა ითქვას ისიც, რომ კანდიდატის წინააღმდეგ დისციპლინური დევნა არ დაწყებულა და იგი სასამართლოში წარმართულ დავებში მხარედ/დაზარალებულად წარმოდგენილი არ ყოფილა. *<u>პიროვნულ და პროფესიულ რეპუტაციის მახასიათებელს</u>* რაც შეეხება, კანდიდატის პიროვნულ თვისებებს, ისევე როგორც მის პროფესიულ მიღწევებს რეკომენდატორები და გამოკითხული პირები აფასებენ დადებითად. ამასთან, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის მენეჯერის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, რევაზ ნადარაიას შესახებ ხელმისაწვდომია ინფორმაცია მისი საქმიანობის შესახებ, როგორც მოსამართლის, ისე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის რანგში. ამასთან, მედია დაინტერესდა მის მიერ განხილული საქმეებით. იურიდიულ წრეებთან ურთიერთობის ხასიათთან და ხარისხთან დაკავშირებით კი მხოლოდ ის შეიძლება ითქვას, რომ კანდიდატი აქტიურად იღებს მონაწილეობას მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ სხვადასხვა ღონისძიებაში. *<u>ფინანსური ვალდებულების მახასიათებელთან</u>* დაკავშირებით, შესაძლებელია აღინიშნოს, რომ რევაზ ნადარაიას აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია (მცირედი ჯარიმებით) და მას სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება. აგრეთვე, იგი მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრირებულია „ნადარაიათა საგვარეულო კავშირის“ გამგეობის წევრად. ამრიგად, კანდიდატის ფინანსური ვალდებულებების შემოწმების შედეგად, გამოიკვეთა, რომ არ არსებობს მისი ქონებრივი ინტერესების მართლმსაჯულების ინტერესებთან დაპირისპირების საფუძველი, რამაც შესაძლოა შემდგომში საფრთხის ქვეშ დააყენოს მოსამართლის მიუკერძოებლობა. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დასკვნის სახით, შესაძლებელია ითქვას, რომ ვინაიდან არ გამოკვეთილა ისეთი გარემოება, რომელიც ეჭვქვეშ დააყენებდა კანდიდატის კეთილსინდისიერების საკითხს, მიმაჩნია, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს აღნიშნულ კრიტერიუმს. **<u>უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის</u>**

	კრიტერიუმის მახასიათებლების მიხედვით „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, კომპეტენტურობის კრიტერიუმის საფუძველზე რევაზ ნადარაიას შეფასებისას მხედველობაში იქნა მიღებული აღნიშნული კრიტერიუმის თითოეული მახასიათებელი. კერძოდ, სამართლებრივი ნორმების ცოდნა; სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია; წერის უნარი; ზეპირი კომუნიკაციის უნარი; პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში; აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა; პროფესიული აქტივობა. აღსანიშნავია, რომ კომპეტენტურობის კრიტერიუმით კანდიდატის შეფასება დაეყრდნო კანდიდატის შესახებ მოძიებულ ინფორმაციას, მათ შორის, მის მიერ წარმოდგენილ სამართლებრივ დოკუმენტებს და საჯარო მოსმენის შედეგად შექმნილ შთაბეჭდილებას. კანდიდატის მიერ *<u>სამართლებრივი ნორმების ცოდნის</u>* კუთხით უნდა აღინიშნოს, რომ რევაზ ნადარაია სისხლის სამართლის მიმართულებით სრულყოფილად ფლობს მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას. ასევე, მასთან გამართული საჯარო მოსმენის შედეგად ნათელი გახდა, რომ იგი იცნობს სამოქალაქო სამართალსა და ადამიანის უფლებების სამართალს. აგრეთვე, კანდიდატი სისტემატიურად ეცნობა უზენაესი სასამართლოს პრაქტიკასა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს. აღსანიშნავია, რომ რევაზ ნადარაიას ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა (სისხლის სამართლის სპეციალიზაცია). იგი იყო საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის I ჯგუფის მსმენელი (2009წ) და იუსტიციის მსმენელთა საერთო საკვალიფიკაციო სიაში დაიკავა - 82-ე ადგილი. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თითოეული წევრის მიერ კანდიდატების შესახებ მოძიებული ინფორმაციის შესწავლის შემდეგ, 2020 წლის 28 დეკემბერს რევაზ ნადარაიასთან გაიმართა საჯარო მოსმენა.[2] საჯარო მოსმენაზე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებმა კანდიდატს დაუსვეს არაერთი სამართლებრივი და ზოგადი ხასიათის შეკითხვა. იგი იყო მშვიდი, კორექტული, თავდაჯერებული და გაწონასწორებული. აღსანიშნავია, რომ რევაზ ნადარაია თავისუფლად გადმოსცემდა საკუთარ შეხედულებებს, სიღრმისეულად აანალიზებდა სხვადასხვა სამართლებრივ საკითხს და ანვითარებდა საინტერესო და დასაბუთებულ მსჯელობას. მნიშვნელოვანია, რომ იგი საუბრისას

[2] იხ. რევაზ ნადარაისთან გამართული საჯარო მოსმენის ვიდეოჩანაწერი: https://www.youtube.com/watch?v=k3asNm9KF4M

	აქტიურად იყენებდა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს და უმეტესად ამომწურავად პასუხობდა დასმულ შეკითხვებს. კანდიდატის *სამართლებრივი დასაბუთების, კომპეტენციისა და წერის უნართან დაკავშირებით* შესაძლებელია ითქვას, რომ მას აქვს ხანგრძლივი პროფესიული, მათ შორის, მოსამართლის თანამდებობაზე მუშაობის 11-წლიანი გამოცდილება. იგი ამჟამად წარმოადგენს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო სამართლის საქმეთა პალატის მოსამართლეს. რევაზ ნადარაიას მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტის[3] შესწავლის საფუძველზე კი შესაძლებელია ითქვას, რომ იგი გამოირჩევა კარგი წერის უნარით. კერძოდ, კანდიდატი თანმიმდევრულად და ნათლად აანალიზებს ფაქტებსა და სამართლებრივ საკითხებს. მის მიერ განვითარებული მსჯელობა არის გასაგები და არაორაზროვანი. მნიშვნელოვანია, რომ იგი შესრულებულია გამართული ენით და მასში რაიმე თვალსაჩინო გრამატიკული ხასიათის შეცდომა არ გამოვლენილა. რევაზ ნადარაიას *ზეპირი კომუნიკაციის უნართან* დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ კანდიდატი გამოირჩევა გამართული მეტყველების უნარით. იგი საკუთარ პოზიციასა და შეხედულებებს გადმოსცემს ღიად, ნათლად და თანმიმდევრულად. აგრეთვე, გააჩნია სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის შესაძლებლობა. კანდიდატის *პროფესიული თვისებების, მათ შორის, სასამართლო დარბაზში ქცევასთან დაკავშირებით* რევაზ ნადარაიას შესახებ მოძიებული ინფორმაციითა და მის წარმოებაში არსებულ საქმეთა განხილვის სტატისტიკური ინფორმაციის თანახმად, შესაძლებელია ითქვას, რომ იგი გამოირჩევა შრომისმოყვარეობით, პუნქტუალურობით, მიზანდასახულობით, გულმოდგინებით და გააჩნია მხარეებთან სათანადოდ მოქცევისა და სასამართლო სხდომის კარგად წარმართვის უნარი. ასევე, შემექმნა შთაბეჭდილება, რომ რევაზ ნადარაიას აქვს სტრესულ სიტუაციაში მუშაობის, გადაწყვეტილების დაუხმარებლად მიღებისა და დამოუკიდებელი აზროვნების შესაძლებლობა. უშუალოდ კანდიდატის წარმოებაში არსებულ საქმეთა განხილვის სტატისტიკური ინფორმაციის თაობაზე კი უნდა აღინიშნოს, რომ 2017 წლის 1 ნოემბრიდან - 2020 წლის 1 ნოემბრამდე პერიოდში, არც ისე მაღალია მის მიერ საპროცესო ვადების დაცვით განხილულ საქმეთა პროცენტული მაჩვენებელი - 66,7%, უცვლელად დატოვებულ გასაჩივრებულ

[3] ფოთის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 14 მარტის განაჩენი, საქმე N1/145-2013.

	გადაწყვეტილებათა პროცენტული მაჩვენებელი კი შეადგენს - 80%-ს. კანდიდატის *აკადემიური მიღწევების, პროფესიული წვრთნისა და პროფესიული აქტივობის* შესახებ შეიძლება ითქვას, იგი არის ღია სიახლეების მიმართ და გამოირჩევა თვითგანვითარების, ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესით. აღსანიშნავია, რომ რევაზ ნადარაია აქტიურად იღებს მონაწილეობას მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ სხვადასხვა ღონისძიებაში. ამასთან, მას ჩაბარებული აქვს მოსამართლის თანაშემწის სპეციალური კურსი და პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო გამოცდა. აღსანიშნავია, რომ რევაზ ნადარაია არის საპროკურორო საბჭოს წევრი. თუმცა, იგი არ არის დაკავებული სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობით და არ აქვს მომზადებული სამეცნიერო ან სხვა სახის პუბლიკაცია. **შეჯამება** ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კანდიდატ რევაზ ნადარაიასთან დაკავშირებით შესაძლებელია ითქვას, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს. ამასთან, კომპეტენტურობის კრიტერიუმის თითოეულ მახასიათებლთან მიმართებით კანდიდატის შეფასებისას გათვალისწინებულ იქნა მისი ცოდნა, კომპეტენცია, გამოცდილება, პროფესიული თვისებები, უნარ-ჩვევები და სხვა მნიშვნელოვანი მახასიათებლები. აღნიშნული ინფორმაციის შეჯერებისა და შეფასების საფუძველზე კი დადგინდა, რომ მის მიერ დაგროვილ ქულათა ჯამი მაქსიმალური 100 ქულიდან შეადგენს 95 ქულას. შესაბამისად, კანდიდატის ცოდნის, პროფესიული გამოცდილებისა და მის მიერ გამოვლენილი უნარ-ჩვევების გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ მას შესწევს უნარი ღირსეულად შეასრულოს უზენაესი სასამართლოს, მართლმსაჯულების განხორციელების უმაღლესი და საბოლოო ინსტანციის საკასაციო სასამართლოს, მოსამართლისთვის დაკისრებული რთული და საპასუხისმგებლო საქმიანობა.

სახელი, გვარი: ნიკოლოზ მარსაგიშვილი

ხელმოწერა:

თარიღი: 28/05-2021